საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „ წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის" „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის" დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისთვის მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში გუნდური კონკურსების ჩატარების მომსახურების შესყიდვა.

(CPV: 79952000)

2016 წელი

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

ტენდერში მონაწილეთა მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

ინსტრუქცია ასევე შესაძლებელია იხილოთ: http://procurement.gov.ge

- ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (მინდობილობის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტი ატვირთული უნდა იქნეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში).
- ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- ტენდერით მოთხოვნილი არ იქნება გამარჯვებული პრეტენდენტის მხრიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.
- ტენდერში გამოყენებული იქნება **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია** (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია" სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.
- სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

შენიშვნა: ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიისა და საფასურის წარდგენა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე.

- პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.
- ტენდერში არ იქნება გამოყენებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია.
- მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: **ეკა ეზუგბაია, ნათია მჟავია, მარიამ ფალიაშვილი, ნატალია ბოჭორიშვილი, ნათია ჭიკაძე.** ტელ: 2 200 220 (1273, 1274, 1272), ელ-ფოსტა: eezugbaia@mes.gov.ge, nbochorishvili@mes.gov.ge; მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №52, ოთახი 128.

ტექნიკური დავალება

1. **შესყიდვის ობიექტი:** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისთვის მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში გუნდური კონკურსების ჩატარების მომსახურების შესყიდვა დანართი 1-ის შესაბამისად (ატვირთულია ცალკე ფაილად).

მომსახურების გაწევის ადგილი - საქართველო.

მომსახურების გაწევის ვადა: არაუგვიანეს 2016 წლის 26 ივნისისა

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 48800.0 (ორმოცდარვაათას რვაასი) ლარი.

დაფინანსების წყარო: „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის" „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამა"

მოსწავლეთათვის კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს უფასო.

მომსახურების ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით. თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე.

აუცილებელი პირობა:

თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ექსპერტიზის ან აუდიტორის დასკვნით* (შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

* ექსპერტიზის ან აუდიტის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნას საექსპერტო ან/და აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატი და სხვა).

2. **პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:**

ა) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი;
ბ) ინფორმაცია ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ (მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ბოლო 5 წლის მანძილზე მინიმუმ ერთი ოლიმპიადის/კონკურსის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი);
გ) დავალებების მომზადებაში და საკონკურსო ტურების ჟიურის შემადგენლობაში ჩართული ექსპერტების რეზიუმეები; ექსპერტებს უნდა ქონდეთ შესაბამის საგანში (ან საგანთა ჯგუფში) სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარებულ კონკურსში დავალებების შედგენის და/ან შეფასების არანაკლებს 2 წლიანი გამოცდილება;
დ) კონკურსების დეტალურად გაწერილი დებულება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დანართში მითითებულ ძირითად მოთხოვნებს;
ე) მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი წარმოდგენილი ფორმის მიხედვით.

N	აქტივობა	მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი
1. გუნდური პროექტების კონკურსი ფიზიკაში		
1.1	I ეტაპის ორგანიზება	_
1.2	II ეტაპის ორგანიზება	
2. გუნდური პროექტების კონკურსი ქიმიაში		
2.1	I ეტაპის ორგანიზება	_
2.2	II ეტაპის ორგანიზება	
3. გუნდური პროექტების კონკურსი ბიოლოგიაში		
3.1	I ეტაპის ორგანიზება	_
3.2	II ეტაპის ორგანიზება	
4. გუნდური პროექტების კონკურსი მათემატიკაში		
4.1	I ეტაპის ორგანიზება	_
4.2	II ეტაპის ორგანიზება	

ვ) მომსახურების ღირებულება.

3. ანგარიშგება

- მიმწოდებელმა ზემოაღნიშნული კონკურსების თითოეული ეტაპის (I და II ეტაპი თითოეული საგნის კონკურსისათვის) დასრულებიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღეში შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს წერილობითი ანგარიში (თითოეულ საგანში გაცემული დავალებების ნიმუშები, ტურებში მონაწილე მოსწავლეების მონაცემთა ბაზა და მიღწეული შედეგები).
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, 5 დღის ვადაში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში (მათ შორის ინფორმაცია თითოეულ კონკურსში გამარჯვებული გუნდების შემადგენლობის და საპრიზო ადგილების მითითებით).

4. ანგარიშსწორება

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში მოგების მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს ჯამური ღირებულების 10%-ს.

5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად ეთანხმება:

ა) ინფორმაციას ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ;

ბ) ინფორმაციას მიწოდების ვადებისა დ პირობების შესახებ;

გ) სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია", „დასრულებულია უარყოფითი შედეგით" ან „ტენდერი შეწყვეტილია" სტატუსის (ერთ-ერთი) მინიჭებამდე.

დ) შესყიდვის ობიექტის მოწოდება განხორციელდება ტექნიკურ დავალებაში მოცემული პირობებით.

<u>**პროექტი**</u>

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ----------

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ. თბილისი **"------"----------" 2016 წ.**

ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **ქეთევან ნატრიაშვილის** სახით და მეორე მხრივ, ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----------სახით, ---------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2015-2016 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის ორეტაპიანი გუნდური კონკურსების ჩატარება ფიზიკაში, ქიმიასა და ბილოგიაში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2015-2016 აკადემიური წლის მდგომარეობით VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის **ორეტაპიანი გუნდური კონკურსის ჩატარება** მათემატიკაში **(CPV79952000).**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილში (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს)

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების მიწოდების წესი და პირობები:

4.1 გასაწევი მომსახურების აღწერილობა (პირობები) განისაზღვრება ზემოაღნიშნულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (დანართი 1).

4.2 მიმწოდებელმა ზემოაღნიშნული კონკურსების თითოეული ეტაპის (I და II ეტაპი თითოეული საგნის კონკურსისათვის) დასრულებიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს წერილობითი ანგარიში (თითოეულ საგანში გაცემული დავალებების ნიმუშები, ტურებში მონაწილე მოსწავლეების მონაცემთა ბაზა და მიღწეული შედეგები). ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, 5 დღის ვადაში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში (მათ შორის ინფორმაცია თითოეულ კონკურსში გამარჯვებული გუნდების შემადგენლობის და საპრიზო ადგილების მითითებით).

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში მოგების მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს ჯამური ღირებულების 10%-ს.

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ანგარიშები მომსახურების შესრულების შესახებ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას)

7. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

მომსახურება განხორციელდება საქართველოში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის -------

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება.

8.1.2 კონკურსების თითოეული ეტაპის (I და II ეტაპი თითოეული საგნის კონკურსისათვის) დასრულებიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღეში შემსყიდველს წარმოუდგინოს წერილობითი ანგარიში (თითოეულ საგანში გაცემული დავალებების ნიმუშები, ტურებში მონაწილე მოსწავლეების მონაცემთა ბაზა და მიღწეული შედეგები).

8.1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, 5 დღის ვადაში, წერილობით წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში (მათ შორის ინფორმაცია თითოეულ კონკურსში გამარჯვებული გუნდების შემადგენლობის და საპრიზო ადგილების მითითებით).

8.1.4 წარმოუდგინოს შემსყიდველს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3 შემსყიდველი ვალდებულია:

8.3.1 უზრუნველყოს მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ შედგენილი კონკურსების დაწვრილებითი პირობებისა და საკონკურსო ამოცანების გავრცელება.

8.3.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას).

9.2 მომსახურების დასრულების შემდგომ კონტროლის განმახორციელებელი პირი ადგენს აქტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

10.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10.5 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორსმაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და

დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ----------, მხარეთა მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მის.: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #52
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა NGE24NB0330100200165022
მინისტრის პირველი მოადგილე
ქეთევან ნატრიაშვილი

მიმწოდებელი: